

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2021 წლის 5 თებერვალი

ქ. ჭიათურა

„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების საფუძველზე ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1

„ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №27 დადგენილებაში (სსმ, 23/12/2020; სარეგისტრაციო კოდი-190020020.35.129.016367) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების I-III თავები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი I

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	29027.312	30059.412	22413.258	7899.154	26349.131	22580.393	3768.738
გადასახადები	10749.432	10596.100	10596.100	0,00	12595.200	12595.200	
გრანტები	9752.915	8944.687	1045.533	7899.154	3768.738	0,0	3768.738
სხვა შემოსავლები	8524.965	10518.625	10518.625	0.0	9985.193	9985.193	
II. ხარჯები	16038.058	15312.290	14265.857	1046.433	17942.591	17547.791	394.800
შრომის ანაზღაურება	2236.451	2046.200	1946.200	100.0	2396.400	2296.400	100.000
საქონელი და მომსახურება	1653.222	1945.115	1108.682	836.433	1468.320	1283.520	184.800
პროცენტი	38.458	24.102	24.102		51.100	51.100	0.00
სუბსიდიები	8225.446	8678.132	8578.132	100,000	11284.500	11184.500	100,000



გრანტები	65.210	39.975	39.975	0.0	0.00	0.00	0.00
სოციალური უზრუნველყოფა	1612.059	2017.252	2007.252	10.0	1737.900	1727.900	10.000
სხვა ხარჯები	2207.212	561.514	561.514	0.0	1004.371	1004.371	
III. საოპერაციო სალდო	12989.254	14747.122	7894.401	6852.721	8406.540	5032.602	3373.938
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	18514.913	18254.977	10097.245	8157.732	11505.152	7648.295	3856.857
ზრდა	18587.131	18507.977	10350.245	8157.732	11538.152	7681.295	3856.857
კლება	72.218	253.000	253.000	0.0	33.000	33.000	0.000
V. მთლიანი სალდო	-5525.659	-3507.855	-2202.844	-1305.011	-3098.612	-2615.693	-482.919
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-5564.051	-3560.537	-2255.526	-1305.011	-3175.212	-2692.293	-482.919
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.000	0.000	0.000
კლება	5564.051	3560.5	2255.5	1305.0	3175.212	2692.293	482.919
ვალუტა და დეპოზიტები	5564.051	3560.5	2255.5	1305.0	3175.212	2692.293	482.919
VII. ვალდებულებების ცვლილება	-38.392	-38.392	-38.392	0.0	-76.600	-76.600	0.000
კლება	38.392	38.392	38.392	0.0	-76.600	-76.600	0.000
საშინაო	38392				-76.600	-76.600	0.000
სესხები	0.0				0.000	0.000	0.000
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0				0.000	0.000	0.000
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0		0.000	0.000	0.000

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	29099.530	30312.412	22413.258	7899.154	26382.131	22613.393	3768.738
შემოსავლები	29027.312	30059.412	22160.258	7899.154	26349.131	22580.393	3768.738



არაფინანსური აქტივების კლება	72.218	253.0	253.0	0.00	33.000	33.000	
გადასახდელები	34724.336	33872.949	24668.784	9204.165	29557.343	25305.686	4251.657
ხარჯები	16038.058	15312.290	14265.857	1046.433	17942.591	17547.791	394.800
არაფინანსური აქტივების ზრდა	18647.886	18507.977	10350.245	8157.732	11538.152	7681.295	3856.857
ვალდებულებების კლება	38.392	52.682	52.682	0.00	76.600	76.600	0.000
ნაშთის ცვლილება	5564.051	3560.537	2255.526	1305.011	-3175.212	-2692.293	-482.919

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 26349.131 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	29027.312	30059.412	22160.258	7899.154	26349.131	22580.393	3768.738
გადასახადები	10749.432	10596.100	10596.100	0.0	12595.200	12595.200	0.000
გრანტები	9752.915	8944.687	1045.533	7899.154	3768.738	0,000	3768.738
სხვა შემოსავლები	8524.965	10518.625	10518.625	0.0	9985.193	9985.193	0.000

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 12595.200 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	10749.432	10596.100	10596.100	0.00	12595.200	12595.200	0.000
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.00	0.00	0.00	0.000	0.000	0.000
დამატებითი ღირებულების გადასახადი	7863.770	7996.100	7996.100	0.0	9995.200	9995.200	0.0
ქონების გადასახადი	2885.662	2600.0	2600.0	0.0	2600,000	2600,000	0.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1722.054	1275.0	1275.0	0.0	1275,000	1275,000	0.000



უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.000	0.000	0.0	0,000	0,000	0.000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	20.825	10.0	10.0	0.0	10,000	10,000	0.000
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	73.544	65.0	65.0	0.0	65.000	65.000	0.000
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1069.239	1250.0	1250.0	0.0	1250,000	1250,000	0.000

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 3768.738 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
გრანტები	9752.915	8944.687	3768.738
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	26.200	0.0	0.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	9726.715	8944.687	0.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.00	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1183.261	2168.286	230,0
კაპიტალური ტრანსფერი	8543.454	6776.401	3538.738
სპეციალური ტრანსფერი, მათ შორის :	0.0	0.0	0.0
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0.0	0.0	0.0
აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 9985.193 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	8524.965	10518.625	9985.193
შემოსავლები საკუთრებიდან	5098.682	8028.617	7835.193
პროცენტი	318.026	230.0	100.000
რენტა	4780.656	7798.617	7735.193
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	2038.241	2080.400	2050.000



ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	2038.241	2080.400	2050.000
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.400	0,00	0.0
სანებართვო მოსაკრებელი	3.335	35.0	35.000
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	2024.000	2000,000	2000.000
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	10.506	25,000	15.000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.0	0,00	0.000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	228.140	255.400	100.000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1159.902	154.208	0.000

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 17942.591 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა			2021 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	16038.058	15312.290	14265.857	6852.721	17942.591	17547.791	394.800
შრომის ანაზღაურება	2236.451	2046.200	1946.200	100.000	2396.400	2296.400	100.000
საქონელი და მომსახურება	1653.222	1945.115	1108.682	836.433	1468.320	1283.520	184.800
პროცენტები	38.458	24.102	24.102	0.0	51.100	51.100	0.000
სუბსიდიები	8225.446	8678.132	8578.132	100,000	11284.500	11184.500	100,000
სოციალური უზრუნველყოფა	1612.059	2017.252	2007.252	10.0	1737.900	1727.900	10.000
სხვა ხარჯები	2207.212	561.514	561.514	0.0	1004.371	1004.371	0.000

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 11505.152 ათასი ლარით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 11538.152 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 33.000 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	582.446	35.917	139.000
01 01	საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	0.0	35.917	139.000



02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	16253.497	15388.462	10754.090
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	14200.858	12846.920	9272.957
02 02	წყლის სისტემების განვითარება	224.936	246.255	146.285
02 03	გარე განათება	5.650	419.720	0.000
02 06	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	324.232	348.054	0.000
02.07	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1492.125	1507.513	1334.848
02 08	სასაფლაოების მოვლა შენახვა	0,0	20.0	0.000
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	35.285	101.909	0.000
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	8.088	135.559	124.000
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	8.088	135.559	0.0
03 05	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	0,0	0,00	124.000
04 00	განათლება	1118.478	2627.515	82.073
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	101.738	75.300	0,000
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	78.0	518,532	64.260
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	938.740	1147.830	17.813
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	605.290	320.524	438.989
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	373.330	233.744	238.989
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	231.960	86.780	200.000
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	88.175	0,0	0,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	0,0	0.0
სულ არაფინანსური აქტივების ზრდა		18647.886	18507.977	11538.152

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	72.218	253.0	33.0
ძირითადი აქტივები	22.597	249	25.0
არაწარმოებული აქტივები	1.883	4.0	6.0
მიწა	1.883	4.0	6.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:



ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3695.824	3446.439	4005.700
7.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3695.824	3446.439	3651.000
7.1.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3695.824	3206.546	3651.000
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	12,349	100.000
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	19.794	227.700
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0	207.750	27.000
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	14480.858	13336.420	10732.957
7.4.5	ტრანსპორტი	13212.235	11899.163	10732.957
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	13212.235	11899.163	10732.957
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	280.0	0.0	0,000
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	988.623	1437.257	0.00
7.5	გარემოს დაცვა	1647.919	1498.909	1564.000
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1647.919	1498.909	1564.000
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	901,830	3400.738	3001.004
7.6.1	ბინათმშენებლობა	2110.353	349.950	762.371
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	369.661	436.306	1298.268
7.6.3	წყალმომარაგება	224.936	814.255	586.285
7.6.4	გარე განათება	5.650	706.520	317.500
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1132.089	1073.707	36.580
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	269.057	179.995	192.920
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	132.322	140.0	145.000
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	136.735	39.995	47.920
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	4141.792	3661.126	4090.989
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1769.689	1505.506	1695.989
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	2157.138	1908.300	2165.000
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	106.218	131.0	110.000
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	108.747	116.320	120.000
7.9	განათლება	4872.273	6402.431	4246.873



7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2922.840	3021.0	4000.000
7.9 2	ზოგადი განათლება	1871.433	1977.046	182.613
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0
70923	საშუალო და ზოგადი განათლება	78.0	1404.385	64.260
7 10	სოციალური დაცვა	1647.884	1946.891	1722.900
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	166.180	177.200	947.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	691.878	591.774	625,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	153.830	172.610	322,0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	17.0	25.0	25.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	332.500	611.250	360.400
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	146.396	222.057	75,5
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	108.900	147.0	315,0
	სულ	34724.336	33872.949	29557.343

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -3098.612 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 8406.540 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	12989.254	14747.122	8406.540
მთლიანი სალდო	-5525.659	-3507.855	-3175.212

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -3175.212 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	-5564.051	-3560.537	-3175.212
ზრდა	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	0,0	0.0	0.0
კლება	5564.051	3560.537	3175.212
ვალუტა და დეპოზიტი	5564.051	3560.537	3175.212



ფინანსური აქტივების კლება 3175.212 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 76.784 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჭიათურის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 421.804 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებია:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

თავი II

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13.

ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე ფასადების რეაბილიტაცია და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახვ დარგების განვითარებას.

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01		9222.957
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ახალი/მეორე ხარისხის საავტომობილო გზების, სასოფლო და შიდაკვარტალური გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის აუცილებლობა.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის სიგრძე შეადგენს 420 კილომეტრს ასფალტო/ბეტონის საფარით დღეის მდგომარეობით დაფარულია 160 კილომეტრი. მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთლიანი მოცულობის 35 პროცენტის მშენებლობა-რეაბილიტაციას.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობა, კაპიტალური რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 02		8674.988
პროგრამის	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის		



განმახორციელებელი	კეთილმოწყობის სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ახალი/მეორე ხარისხის საავტომობილო გზების, სასოფლო და შიდაკვარტალური გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის აუცილებლობა.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის სიგრძე შეადგენს 420 კილომეტრს ასფალტ/ბეტონის საფარით დღეის მდგომარეობით დაფარულია 171 კილომეტრი. მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში გზების მთლიანი მოცულობის 35 პროცენტის მშენებლობა-რეაბილიტაციას.</p>

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიებების მიხედვით

№	დასახელება	დაფინანსების წყარო	სულ ღირებულება (ლარი)
1	სოფელ წყალშავში ქვრივიშვილების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	41245
2	სოფელ ბერეთისაში ქვედა კვიციანაძეების უბანში გზის მოწყობა	ადგილობრივი	43775
3	სოფელ უსახელოში მთვარანგელოზის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოწყობა	ადგილობრივი	220000
4	სოფელ უსახელოში მგლების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	101857
5	სოფელ უსახელოში წერეთლების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	39273
6	სოფელ ქვაცხეხეში ფორცხიძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	27190
7	სოფელ ბილაში გოგსაძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	31457
8	სოფელ რცხილათში უფლისაშვილების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	38120
9	სოფელ ზოდში ბოყოვლების შემაერთებელი გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	53716
10	სოფელ ზოდი-ქვედა ზოდის შემაერთებელი გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	50997
11	სოფელ სარკველეთუბნის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	49278
12	სოფლების თაბაგრებისა და ბუნიკაურის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	ადგილობრივი	61434
13	სოფელ ზედა რგანში სიკინჭალაშვილებისა და ბუზალაძეების გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	29397
14	სოფელ თაბაგრებში კენჭოშვილების (მთის უბნის) გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	40432
15	სოფელ ითხვისში ბიბიაშვილის უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	32226
16	სოფელ ითხვისში ლომიძეები ჩუბინიძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	37584
17	სოფელ ითხვისში დავთძე ნადირაძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	27932
18	სოფელ წირქვალში კაციტაძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	50681
19	სოფელ ქვედა ჭალოვანში ზედა ხვედელიძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	33698
20	სოფელ გეზრულში გაფრინდაშვილების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	24709
21	სოფელ სვერში ქვედა სვერში გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	13586



22	სოფელ ვაჭევში ბუკეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	50000
23	სოფელ ღვითორში ამბლუაშვილების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	31398
24	სოფელ მორძგვეთში ღვალაძეების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	41927
25	სოფელ ნავარძეთში სერის უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	35536
26	სოფელ კაცხში ხარათიშვილების უბნის გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	40432
27	სოფელ მორძგვეთში კაპანაძეები-ღელის უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	156467
28	სოფელ ხრეთში სოფრომაძეების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	21212
29	სოფელ ხრეთში პაპიაშვილების უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	44387
30	სოფელ ხრეთში ამბულატორიასთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	15356
31	სოფელ ხრეთში ზეციხის უბანში გზის მოწყობის სამუშაოები	ადგილობრივი	19106
32	შესასრულებელი სამუშაოების საექსპერტო მომსახურების თანხა	ადგილობრივი	250000
33	სოფელ მოხორთუბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი/ცენტრალური	685642
34	სოფელ ნიგოზეთის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი/ცენტრალური	342445
35	სოფელ ზოდი-ზედუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი/ცენტრალური	998877
36	სოფ. პერევისაში კვანტალიანები-ცხადაძეები-ბარელაძეები-ვაშაძეების გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი/ცენტრალური	27439
37	სოფელ რკვიანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი/ცენტრალური	29325
38	სოფელ პერევისაში კურტანიძეები-მაჭაძეები-წერეთლების უბანში გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი/ცენტრალური	24449
39	სოფელ გუნდაეთში ჯაფარიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი/ცენტრალური	67034
40	მეჩხეთურში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	ცენტრალური	411316
41	სოფელ რცხილათის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	ცენტრალური	445699
42	სოფელ ღვითორში ამბლუაშვილების უბნიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი	4319
43	სოფელ მერევი-ნიგოზეთის (ბირთველიშვილები-წერეთლების) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი/ცენტრალური	737823
44	სოფელ ითხვისში მეგრელიშვილები-ბეგიაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი	8016
45	სოფელ ხრეთში არჩვაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი	46590
46	სოფელ ქვედა ჭალოვანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი	111110
47	სოფელ მღვიმეში სოფლის ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ხელშეკრულება გაფორმებულია)	ადგილობრივი	93634
48	სოფელ ხრეთში ჯაფარიძეების სახლმუზეუმამდე მისასვლელი საუბნო გზის მობეტონების სამუშაოები (ტენდერი გამოცხადდება გარდამავალი).	ადგილობრივი	80000



49	სოფელ ხრეთში შევილაძეები-გულიტაშვილების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები (ტენდერი გამოცხადდება გარდამავალი).	ადგილობრივი	80000
50	სოფელ ხრეთში სამაკაშვილების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები (ტენდერი გამოცხადდება გარდამავალი).	ადგილობრივი	80000
51	სოფელ უსახელოში აბესაძეების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.	ადგილობრივი	111541
52	სოფელ მეჩხეთურში ქვილარის უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.	ადგილობრივი	41244
53	სოფელ ეწერში კუპატაძეების უბანში გზის საფარის მოწყობის სამუშაოები.	ადგილობრივი	104410
54	სოფელ ზედა ჭალოვანში პანტელას უბანში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.	ადგილობრივი	29098
55	სოფელ ზედა ჭამოვანში მერცხალას უბანში გზის საფარის მოწყობის სამუშაოები.	ადგილობრივი	36701
56	სოფელ ითხვისში 32-ის დასახლების ითხვისის მდაროდან დარბაიძეების ბოლომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (ტენდერი გამოცხადდება გარდამავალი).	ადგილობრივი	100000
57	სოფელ ითხვისში კობერიძეები-მახათაძეები-დვალაშვილების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები (ტენდერი გამოცხადდება გარდამავალი).	ადგილობრივი	100000
58	სოფელ დარკვეთში ბაქრაძეების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	38528
59	სოფელ ითხვისში ცენტრალური გზიდან ადმინისტრაციულ შენობამდე , ამბულატორიამდე და საჯარო სკოლამდე მისასვლელი გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	79861
60	სოფელ ზოდში გაბესკელიანების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	50160
61	სოფელ ცხრუკვეთში ტატიშვილების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.	ადგილობრივი	55166
62	სოფელ ზოდში ჭილაძეები-ბოყოვლების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	13371
63	სოფელ ზოდში გაღმა ბოყოვლების დამაკავშირებელი გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	25842
64	სოფელ ზოდში ბიდაურის საუნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.	ადგილობრივი	45632
65	სოფელ ვაჭევში ბუკების უბანში გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.	ადგილობრივი	36026
66	სოფელ ვაჭევში მაგალობლიშვილების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	19455
67	სოფელ პერვისაში დევიძეების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	32972
68	სოფელ წინსოფელში ჩუბინიძეების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	38528
69	სოფელ წინსოფელში ხიხაძეები-აბრამიშვილების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები	ადგილობრივი	39749
70	სოფელ სვერში ლოჟლეეთის უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	60000
71	სოფელ თვალუეთში კოდიწყლის უბნის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	67659
72	სოფელ ცხრუკვეთში ჭიპაშვილების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	38312
73	სოფელ სვერში კვახების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	53309
74	სოფელ სვერში კრავების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	30705
75	სოფელ სვერში ბათუს უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	67391



76	სოფელ სვერში მჭედლიშვილების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	45032
77	სოფელ მსხლოვანში მოდებაძეების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	33557
78	სოფელ ნავარძეთში საუბნო გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	35189
79	სოფელ თაბაგრებში ახალი დასახლების საუბნო გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	42258
80	სოფელ თაბაგრებში ეკლესიამდე მისასვლელი ცენტრალურ გზაზე ორ მონაკვეთზე გზის საფარის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	37802
81	სოფელ ზედა რგანში სილების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	40154
82	სოფელ საკურწეში მამიაშვილები-გოსტიაშვილები-სარალიძეების უბანში გზის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.	ადგილობრივი	75069
83	სოფელ ქვაცხეში ცხოვრებაძეების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	61323
84	სოფელ წყალშავში კახელიშვილების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	26957
85	სოფელ ითხვისში ჩინჩალაძეების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	63069
86	სოფელ ნიგოზეთში ომიძეები-ლაბაძეების გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	109593
87	სოფელ ჭილოვანში მუხების უბნის გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	49832
88	სოფელ კალაურში დარბაიძეების უბანში გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	49510
89	სოფელ კალაურში დარბაიძეების უბანში (ითხვისის გადასახვევთან) გზის მობეტონების სამუშაოები.	ადგილობრივი	35499
90	სოფელ ზედუბანში ჭალის უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.	ადგილობრივი	30800
91	სოფელ უსახლოში სამხარაძეების უბანში ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	ადგილობრივი	120000
92	სოფელ წყალშავში ციციშვილების უბანში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.		76600
93	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია 2020 წელს)	ადგილობრივი	108959
94	თანადაფინანსების თანხა	ადგილობრივი	290000
	სულ ჯამი		8674.988

პროგრამის დასახელება	კოდი	ხიდების და მოაჯირების აღდგენა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 04		60.311
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოაჯირის მოწყობის საპროექტო სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია) საევე განხორციელდება ჭიათურაში მდინარე ყვირილაზე პირველი სკოლის მიმდებარედ ხიდისა და კიბის მოაჯირის გარე განათების მოწყობის სამუშაოები, ქ. ჭიათურაში მდ. ყვირილას მეორე საფეხმავლო ხიდის მოაჯირებისა და გარე განათების მოწყობის სამუშაოები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საყრდენი კედლების აღდგენა, მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
----------------------	------	---------------------------------------	---------------------------------------



	02 01 05		26.834
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება (გაფორმებულია ხელშეკრულება) ქ.ჭიათურაში ჩაჩანიძის ქ.№ 44-ის მიმდებარედ არჩილ გოცამის სახლთან საყრდენი კედლის რეაბილიტაცია, ქ. ჭიათურაში ცუცქერიძის №5-თან საყრდენი კედლის რეაბილიტაცია, ქ. ჭიათურაში 9 აპრილის ქუჩაზე №101-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის რეაბილიტაცია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ფეხით მოსიარულეთათვის	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 01 06	გადასასვლელების, კიბეების, მოედნების, რეაბილიტაცია და სხვა	460.824
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო სამუშაოები. (ხელშეკრულება გაფორმებულია) ასევე განხორციელდება ქ.ჭიათურაში საბჭოს ქ. N6-ის მიმდებარედ ბეტონის კიბისა და ლითონის სახელურის მოწყობის სამუშაოები, ქ.ჭიათურაში თხელიძის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობის სამუშაოები, ქ.ჭიათურაში ნიკოპოლის ქუჩაზე ტროტუარის მოწყობის სამუშაოები, ქალაქ ჭიათურაში კინოს მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.		

პროგრამის დასახელება	კოდი		2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 02	წყლის სისტემების განვითარება	586.285
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება (ხელშეკრულება გაფორმებულია) სოფლებში: მანდაეთი, მერევი, და მორძგვეთში სასმელი წყლის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვლო დოკუმენტაციის მომზადება		

პროგრამის დასახელება	კოდი		2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 02 02	წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია	36.285
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება (ხელშეკრულება გაფორმებულია) სოფლებში: მანდაეთი, მერევი, და მორძგვეთში სასმელი წყლის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვლო დოკუმენტაციის მომზადება		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყალმომარაგების სისტემის ექსპლუატაცია	2021 წლის დაფინანსება (ათას ლარში)
	02 03		550.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს „ჭიათურის წყალი“		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგებით მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად 2020 წელს შეიქმნა შპს ჭიათურის წყალი, რომელიც უზრუნველყოფს (მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული) ახალი ქსელების მოწყობას და არსებული ქსელების მოვლა პატრონობას.		
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების გაუმჯობესებული სისტემები (რომელიც იმყოფება მუნიციპალურ დაქვემდებარებაში), რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის წყალმომარაგებას.		

	კოდი		2021 წლის დაფინანსება
--	------	--	-----------------------



პროგრამის დასახელება		გარე განათება	(ათას ლარში)
	02 03		317.5
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. გარე განათების ქსელით მოცულია ქალაქ ჭიათურის ტერიტორიის 99%.</p> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p>2021 წლის ბიუჯეტიდან ასიგნებები გამოყოფილია გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე . აღნიშნული ასიგნება გაიცემა მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		317.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით ქალაქ ჭიათურის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელით დაფარულია 99%. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. <p>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04		1510.000
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია, რომელიც განახორციელებს ჭიათურაში საბაგირო გზების აღდგენამდე უზრუნველყოფს სამარშრუტო მიკროავტობუსებით მგზავრთა გადაყვანას, ხოლო აღდგენის შემდეგ საბაგირო გზის ექსპლოატაციას. აგრეთვე უზრუნველყოფს მადართა დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის ტრანსპორტირებას.</p> <p>ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მძიმე ტექნიკის ექსპლოატაციას და სავტომობილო გზების დაზიანებული ნაწილის აღდგენის სამუშაოებს.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		1510.000



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალური საწარმო შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა შპს „ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია“. დაფინანსების ფარგლებში გაიცემა მძღოლთა ხელფასები და ანაზღაურდება საწვავის ხარჯი. საკუთარი შემოსავლით ფინანსდება საწვავის და აგრეთვესხვა მიმდინარე ხარჯები</p> <p>ქალაქ ჭიათურის მასშტაბით მუნიციპალურ სატრანსპორტო მომსახურებას საბაზრო ტრანსპორტის აღდგენამდე მომსახურებას უწევს შპს ჭიათურის სატრანსპორტო კომპანია რომელიც ჭიათურაში რამოდენიმე მიმართულებით ახორციელებს მგზავრთა გადაყვანას. აგრეთვე მალაროთა დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის ტრანსპორტირებას. ასევე უზრუნველყოფს მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მძიმე ტექნიკის ექსპლოატაციას და საავტომობილო გზების დაზიანებული ნაწილის აღდგენის სამუშაოებს.ზამთრის პერიოდში მოსული ნალექისაგან საგზაო ინფრასტრუქტურის გაწმენდა,მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06		762.371
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება.</p> <p>ვინაიდან ქალაქში მრავლადაა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და ისეთი გლობალური პრობლემა როგორცაა მათი სახურავის, ფასადისა და კორპუსებში არსებული ლიფტების აღდგენა ამ კორპუსებში მცხოვრები მოსახლეობასთვის შეუძლებელია, აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტი ეხმარება მათ ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებთა პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღდგენა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		762.371
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების მოწესრიგება, რითაც გაუმჯობესდება ქალაქის იერსახე და საცხოვრებელი კორპუსი მეტად დაცული იქნება გარე ბუნებრივი მოვლენებისაგან, როგორცაა წვიმა და თოვლი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (ხელშეკრულება გაფორმებულია). ასევე განხორციელდება ქ. ჭიათურაში გიორგამის ქუჩაზე N6-ის ფასადის მოწყობის სამუშაოები, ქ. ჭიათურაში თხელიძის ქ. N9-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოწყობის სამუშაოები, ქ. ჭიათურაში თხელიძის ქ. N15-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოწყობის სამუშაოები, ქ. ჭიათურაში თხელიძის ქ. N17-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოწყობის სამუშაოები, ქ. ჭიათურაში თხელიძის ქ. N19-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოწყობის სამუშაოები, ქ. ჭიათურაში თხელიძის ქ. N21-23-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოწყობის სამუშაოები, ქ. ჭიათურაში თხელიძის ქ. N25-ში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის მოწყობის სამუშაოები, განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		1334.848
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა თუ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, გაწმენდა, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია).
----------------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა პატრონობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01		1298.268
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა თუ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, გაწმენდა, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები (ხელშეკრულება გაფორმებულია). განხორციელდება კულტურის ცენტრის მიმდებარედ შადევის ადდენის სამუშაოები, ქ. ჭიათურაში ნინოშვილის ქუჩაზე არსებული (სამხარაძე-ჯღამაძის) სკვერის რეაბილიტაცია, ქ. ჭიათურაში აღმაშენებლის ქუჩაზე საბაგიროს მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები, ქალაქ ჭიათურაში გიორგამის ქუჩაზე N1 სკვერის მოწყობის სამუშაოები, ქალაქ ჭიათურაში გიორგამის ქუჩაზე N2 სკვერის მოწყობის სამუშაოები, საჩხერის გზატკეცილზე N5,7,9 კორპუსების მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები, საჩხერის გზატკეცილზე სამთომამველის კორპუსთან ეზოს მოწყობის სამუშაოები, ქ. ჭიათურაში ჭილაძის ქუჩაზე ცენტრალური ავტოსადგურის ზემოთ სკვერის მოწყობის სამუშაოები, საჩხერის გზატკეცილის N28-ის საცხოვრებელი კორპუსის ეზოს შემოღობვა, ქ. ჭიათურაში საჩხერის გზატკეცილზე ყოფილ ეგრეთწოდებულ ტროლეიბუსების გაჩერებასთან საცხოვრებელი სახლის წინ სკვერის მოწყობის სამუშაოები, ქალაქის შემოსასვლელთან ნავარძეთის მიმდებარედ სკვერებისა და გადასახედის მოწყობის სამუშაოები, ქალაქ ჭიათურაში ტერასული სკვერის მოწყობის სამუშაოები, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, გამარჯვების პარკის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ქ. ჭიათურაში ტოლსტოის ქუჩაზე რუსული სკოლის ადგილზე სკვერისა და სტადიონის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. განხორციელდება საინჟინრო ზედამხედველობის სამუშაოები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07 02		36.580
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით, 2020 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისათვის დარჩენილი ნაშთის 36580 ლარის ასახვა რომელიც მიზანმიმართული იქნება საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად.		

მუხლი 14.

დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2021-2024 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლაპატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა დასხვა. აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში პოლიტიკას წარმართავს ინფრასტრუქტურის სამსახური, ხოლო ასრულების კუთხით ჩართულია ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი“

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ნარჩენების გატანას	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		1440.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ -ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა კეთილმოწყობის სერვის ცენტრი		



პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა თუ იერსახის შენარჩუნება და მოწესრიგება, ამ მიზნით სუბსიდირება გაეწევა ა(ა)იპ - ჭიათურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების კეთილმოწყობის სერვის ცენტრს. ა(ა)იპის ფუნქციონირების ხარჯები მთლიანად ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტით.
----------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	2021-წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 03		124.0
პროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ეკოლოგიურ მდგომარეობისა შენარჩუნებისათვის საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამატებით განთავსდეს სანაგვე ურნები, რომელიც განთავსდება განხორციელებულ საჭიროების შესაბამისად. 2021 წლისათვის იგეგმება დამატებით ასოცდათი ცალი სანაგვე ურნის შექმნა.		
მოსალოდნელი შედეგი	დამატებით შექმნილი და საჭიროებისამებრ განთავსებული 130 ცალი სანაგვე ურნა.		

მუხლი 15.

განათლება 04 00

სკოლამდელი აღზრდის განვითარების პროგრამა 04 00

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		4000.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ზემოწინადადების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1650-ზე მეტი ბავშვი. ბავშვბაღებში ჯამში დასაქმებულია 702 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:</p> <p>ბავშვბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>ბავშვბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>ბავშვბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>ბავშვბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ</p>		



ნორმებთან;
ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;
ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01 02		64.260
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოფელ წირქვალის საბავშვო ბაღის ფასადის ფანჯრებისა და შიდა კარების მოწყობის სამუშაოები, სოფელ უსახელოს საბავშვო ბაღის შიდა კარების მოწყობის სამუშაოები, სოფელ სვერის საბავშვო ბაღის ფასადის ფანჯრებისა და შიდა კარების მოწყობის სამუშაოები, სოფელ ბერეთისის საბავშვო ბაღის ფასადისა და შიდა კარების მოწყობის სამუშაოები, სოფელ მღვიმევის საბავშვო ბაღის შენობისათვის საკანალიზაციო ჭის მოწყობის სამუშაოები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		182.613
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 9.01.2020 წლის №27 განკარგულებით განხორციელდება ჭიათურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება.		

მუხლი 16.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00

